

როდესაც ვლადიმერ პუტინმა საქართველოს და ლატვიის ურთიერთობებზე ალბათ იფიქრებთ თუ, რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ ქვეყნებს, რომელთაგანაც პირველი სამხრეთ კავკასიაში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს, ხოლო მეორე ევროპის ჩრდილოეთში ბალტიის ზღვის ნაპირზეა გაშლილი. თუმცა, თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი ურთიერთობების ისტორიას დავინახავთ, რომ ჩვენ ქვეყნებს და ხალხებს შორის ძალიან ბევრი საერთოა.

ლატვია და საქართველო მთელი თავისი ისტორიის მანძილზე იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქართველ და ლატვიელ მოღვაწეებს კონკრეტული წვლილი აქვთ შეტანილი ურთიერთობების განვითარების და სახელმწიფოებრივი მშენებლობის საქმეში. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ დიდი ლატვიელი ადმირალი თეოდორ სპადე, რომელიც საკუთარი კარიერის დასაწყისში, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ფლოტში მოღვაწეობდა, იყო ერთ-ერთი პირველი ვინც სათავეში ედგა ქართული სამხედრო საზღვაო ძალების ჩამოყალიბების პროცესს და ბოლოს, იგი გახდა პირველი ლატვიელი ადმირალი ლატვიის სახელმწიფოებრიობის ისტორიაში.

მისი მეუღლე კი, ულამაზესი და მისთვის თავდადებული ქართველი ქალბატონი ნადეჟდა შველიძე-სპადე იყო, რომელსაც მეუღლისადმი უდიდესმა სიყვარულმა დაათმობინა მთელი თავისი ქონება, რათა თურქეთში ტყვეობისგან ეხსნა იგი.

ლატვიის ტრამვატოლოგიური კლინიკის დირექტორი და მისი ფუძემდებელი კი იყო ქართველი ექიმი და საზოგადო მოღვაწე არჩილ მაჩაბელი. მის სახელს უკავშირდება ლატვიის მედიცინაში ტრამვატოლოგიური მიმართულების განვითარება და მრავალი პროფესიონალი ექიმის აღზრდა. ამას გარდა, არსებობს უამრავი ფაქტი იმისა, რომ როგორც დღეს, ისე წარსულში, და როგორც ლატვიელ, ისე ქართველ მეცნიერებს, ხელოვანებს და საზოგადო მოღვაწეებს უზარმაზარი წვლილი შეაქვთ ხალხთა შორის და ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში. ჩვენ კი დიპლომატები ვცდილობთ, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო თვალსაჩინო გავხადოთ.

საერთო საბჭოთა ისტორიის ფონზე ჩვენი ქვეყნები ყოველთვის ისწრაფვოდნენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ. შეგვიძლია ამაყად განვაცხადოთ, რომ საბჭოთა რეჟიმის დროსაც კი, ორი მეგობარი ერი პოულობდა შესაძლებლობას მოემიებინა შეხების ერთობლივი წერტილები, სადაც მეგობრობა და თავისუფლებისაკენ ლტოლვა იყო ძირითადი მამოძრავებელი ძალა.

საბჭოთა კავშირის დაშლის და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს და ლატვიას აქვთ შესანიშნავი ორმხრივი ურთიერთობები. ჩვენმა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქტიური ურთიერთქმედება უკვე 90-ანი წლების დასაწყისში დაიწყეს. დღევანდელ დღეს კი პოლიტიკური, ეკონომიკური და ხალხთა შორის კონტაქტები მართლაც, რომ უმაღლეს დონეზეა.

საქართველოსა და ლატვიას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1993 წლის 11 მარტს დამყარდა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 20 წლის განმავლობაში ქვეყნებმა სხვადასხვა პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესი გაიარეს, ლატვია 2004 წელს გახდა ევროკავშირის და ნატო-ს წევრი ქვეყანა, საქართველო და ლატვია რჩებიან ძალიან

ახლო მეგობრებად და უნდა ითქვას, რომ ლატვია არის საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი ევროკავშირთან და ნატო-სთან ურთიერთობების ჭრილში.

ჩვენ შევძელით და შევქმენით ეფექტური ორმხრივი საკანონმდებლო ბაზაც, რომელიც ითვალისწინებს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით თანამშრომლობას. ჩვენი ქვეყნები სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს, წლების მანძილზე გაღრმავდა ურთიერთობები პოლიტიკის, კულტურისა და განთლების სფეროებში, რაც თავის მხრივ აძლევს ახალ, დადებით ბიძგს აქტიური სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ორმხრივი ოფიციალური და სამუშაო ვიზიტების სიხშირე საგრძნობლად გაიზარდა. ოფიციალური პირები გამოხატავენ სურვილს, რომ ქვეყნებს შორის უფრო ინტენსიური გახდეს ეკონომიკური კავშირები. როგორც გასული წლის ნოემბერში ლატვიის პრეზიდენტის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის, ისე საქართველოს პრეზიდენტის მ.წ. აპრილში ლატვიაში ვიზიტების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, გახლდათ სწორედ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავება. საქართველოში ორი ბიზნესს ფორუმი გაიმართა, ერთი თბილისში, ხოლო მეორე ბათუმში, ამასთანავე მეტად საინტერესო შეხვედრები შედგა ლატვიელ ბიზნესმენებთან ლატვიაში საქართველოს პრეზიდენტის სტუმრობისას. ხსენებული ვიზიტების დროს დამყარდა საქართველოს და ლატვიის ბიზნესს წრეებს შორის მნიშვნელოვანი კავშირები რომლებმაც უახლოეს მომავალში კონკრეტული შედეგი უნდა მოიტანოს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების განვითარებაში. დღეისათვის კი საქართველოში დარეგისტრირებულია 80 ლატვიური კომპანია.

საქართველო ღიად აცხადებს, რომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები არის სრული ინტეგრაცია ევროკავშირსა და ნატოში. აღსანიშნავია, რომ უახლესი კვლევების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. აღნიშნული უფრო მეტ სტიმულს აძლევს იმ ქვეყნებს, რომლებიც ხმამაღლა აცხადებენ, რომ საქართველო არის ევროპული ქვეყანა და მისი ადგილი დიდ ევროპულ და ევროატლანტიკურ ოჯახშია. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ ლატვიაც ასეთი ქვეყნების ყველაზე აქტიურ ნაწილს მიეკუთვნება.

ლატვიის, როგორც აღმასრულებელი ისე საკანონმდებლო ხელისუფლება ორმხრივ და საერთაშორისო დონეზე აფიქსირებს მტკიცე პოლიტიკურ მხარდაჭერას საქართველოს მიმართ. მე მჯერა, რომ ლატვია მომავალშიც შეინარჩუნებს ძლიერი მხარდაჭერის სტატუსს და გააგრძელებს საკუთარი გამოცდილების გაზიარებას ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის გზაზე.

2015 წლის წლის 1 იანვრიდან ლატვია გახლავთ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ქვეყანა. ლატვიის მთავრობის თავმჯდომარეობის 6 თვიანი, ძალიან პრაგმატული პროგრამის ერთ-ერთი მთავარ პრიორიტეტს აღმოსავლეთ პარტნიორებთან თანამშრომლობა წარმოადგენს.

როგორც მოგეხსენებათ, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიცირება 2008 წლის 3 დეკემბერს მოხდა, როდესაც ევროკომისიამ მიიღო აღმოსავლეთ პარტნიორობის კომუნიკე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ევროკავშირის პოლიტიკა მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორების (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, საქართველო,

მოლდოვა და უკრაინა) დაახლოებას ევროკავშირთან. ხოლო რიგაში, მ.წ. 22 მაისს გაიმართება აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-4 სამიტი.

ჩემი აზრით, ეს იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი სამიტი, განსაკუთრებით თუ გადავხედავთ რეგიონში არსებულ სიტუაციას. ზემოაღნიშნულმა სამიტმა ახალი ძალა უნდა შესძინოს მომავალ ურთიერთობებს და იყოს კონკრეტულ შედეგებზე ორიენტირებული.

ქართული მხარე იმედს იტოვებს, რომ რიგის სამიტზე ქვეყნის მიერ უკვე გაწეული საქმიანობა ადეკვატურად დაფასდება და საქართველო მიიღებს კონკრეტულ შედეგს. ლატვიის თავმჯდომარეობამაც პრიორიტეტად, სწორედ ასეთი ქვეყნების მხარდაჭერა განსაზღვრა. რა თქმა უნდა, ყოველი გადაწყვეტილება უნდა იყოს დაფუძნებული შედეგებზე, რამაც თავის მხრივ ინდივიდუალური მიდგომები და დაახლოების თანმიმდევრული პრინციპები უნდა წარმოშვას.

ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერა არ იყო საქართველოსათვის საბოლოო მიზანი, არც სავიზო რეჟიმის გამარტივების მიღწევა იქნება ეს მიზანი. საქართველოსათვის საბოლოო მიზნად ითვლება ევროკავშირისა და ნატო-ს სრულუფლებიანი წევრობა, ეს კი მთავრობას დაუსახა ქართველმა ხალხმა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ საბოლოო შედეგის მისაღწევად უნდა გავიაროთ გრძელი, გამოწვევებით აღსავსე გზა, თუმცა, საქართველო, მისი ევროპელი მეგობრების მხარდაჭერით, მზად არის შეასრულოს და დააკმაყოფილოს ყველა მოთხოვნა. რიგის სამიტის დეკლარაციას განსაზღვრავს მომდევნო წლების სამოქმედო გეგმას, ხოლო საქართველო თავის მხრივ შეეცდება შეასრულოს საშინაო დავალება და ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდეს საბოლოო მიზანს.